

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები და საზოგადოება

კაპანაძე ხათუნა

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის გელათის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია შშმ ადამიანების პრობლემასთან დაკავშირებული კვლევის შედეგები. ამ პრობლემას გვერდს ვერ ავუვლით სკოლის მესვეურებიც - შშმ მოსწავლეები ჩვენი რეალობის მტკივნეული ნაწილია. მათთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა სჭირდება თავად ამ ადამიანებს, მათ მშობლებს და, რა თქმა უნდა, პედაგოგებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ სასწავლო წელს პრიორიტეტად ინკლუზიურ განათლებაზე ზრუნვა გამოცხადდა, რაც კიდევ ერთხელ იმისი დასტურია, რა მნიშვნელოვანია შშმ ადამიანებისათვის ყურადღების მიქცევა, თემისა და საზოგადოების აქტიურად ჩართვა მათი პრობლემების მოგვარებაში.

საკვანძო სიტყვები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, პროექტი, კვლევა. (ინგლისურად რუსულად)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები და საზოგადოება

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სოციალური კურსის ტენდენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან დაკავშირებით იყო ინტეგრაციისა და მონაწილეობის ხელშეწყობა, ინკლუზიისთვის ბრძოლა. ინკლუზია და მონაწილეობა არსებითია ადამიანური ღირსების, ადამიანის უფლებებით სარგებლობისა და დაცვისთვის.

უახლოეს წარსულში სოციალურ სფეროსა და საზოგადოებრივ მენტალიტეტში მომხდარი ცვლილებების ფონზე თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გააქტიურებამ განაპირობა ახალი სახელმწიფოებრივი ხედვისა და პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. 1995 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი პირობების უზრუნველყოფის საკითხები.

კანონები გვეკარნახობენ წესებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ პოზიტიური განწყობის შექმნა. აღიარებულია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომლის გადალახვაც შშმ პირებს უწევთ, არის საზოგადოების დამოკიდებულება. სამწუხაროდ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად აღიქვას ისინი სრულყოფილ და სრულფასოვან მოქალაქეებად, ჯერ კიდევ ძლიერია გაუცხოებისა და სიბრაღის ფაქტორი. (1)

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული საკითხია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა. ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა შშმ ადამიანების პრობლემები, საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ, განათლების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი შშმ ადამიანების ინტეგრაციისათვის. 2013 წლის ოქტომბერში კვლევასთან დაკავშირებით დავიწყეთ მუშაობა პროექტზე „**ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით**“ რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის გელათის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა. პროექტზე მუშაობა ემსახურება თემში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, შშმ პირების ჩართულობას. აღსანიშნავია, რომ პროექტზე მომუშავე კლასში გვყავს შშმ სტატუსის მქონე მოსწავლე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს პროექტთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებაში.

კვლევისათვის საჭირო კონსულტაციების მისაღებად დავუკავშირდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ დოქტორს **ნატო ქობულაძეს**. მისი კონსულტაციების გათვალისწინებით შეიქმნა ანონიმური გამოკითხვის ანკეტა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების სპეციალობის I და III კურსის სტუდენტებმა, გელათის საჯარო სკოლის, ქუთაისის 22-ე საჯარო სკოლისა და კერძო სკოლა „21-ე საუკუნის“ მოსწავლეებმა. მოსწავლეთა მიერ რესპოდენტების გამოკითხვა ჯერ კიდევ გრძელდება, კვლევაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა სხვა სკოლებმაც. ამ ეტაპისათვის კვლევის შედეგები ასეთია :

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობა

1. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების სპეციალობის I კურსის სტუდენტი - 32
2. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების სპეციალობის III კურსის სტუდენტი - 13
3. სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის გელათის საჯარო სკოლის მოსწავლე - 45
4. სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის გელათის საჯარო სკოლის მასწავლებელი - 11
5. მშობელი - 17
6. სსიპ ქუთაისი 22-ე საჯარო სკოლის მოსწავლე - 48
7. შპს სკოლა 21-ე საუკუნის მოსწავლე - 68
8. სხვა - 30

სულ - 264 რესპოდენტი .

კვლევის შედეგების შესწავლისათვის მოვახდინეთ სტატისტიკის განხილვა. წარმოგიდგინო შედეგებს :

- კვლევაში მონაწილე რესპოდენტების 67 % აქვს მდედრობითი სქესი, 33 % - მამრობითი სქესი
- კვლევაში მონაწილეთა შორის მოსწავლეა 60,9 % ; სტუდენტია 18,6 %; მასწავლებელია 4,2 % ; მშობელია 6,4 % ; სხვა 9,8 %
- რესპოდენტთა 51,5 % აქვთ ურთიერთობა შშმ ადამიანებთან ; 48,5 % არა აქვს ურთიერთობა შშმ ადამიანებთან
- კვლევაში მონაწილეთა 74,24 % ურთიერთობს შშმ ადამიანებთან, როგორც სხვა ადამიანთან ; ურთიერთობა არ აქვს 25 % ; ცდილობს თავი შორს დაიჭიროს 0,75 %
- რესპოდენტთა 49,62 %-ის აზრით შშმ ადამიანები არაფრით განსხვავდებიან ჩვეულებრივი ადამიანებისაგან; 19,31 % მიუთითებს, რომ აქვთ გაღიზიანებული ფსიქიკა ; 31,06 % აღნიშნავს, რომ შშმ ადამიანები საკუთარ თავშია ჩაკეტილი .
- კვლევაში მონაწილეთა 18,56 % ადასტურებს პანდუსების არსებობის საჭიროებას; 81,43 % კი მიუთითებს, რომ არ არის შშმ პირებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა .
- რესპოდენტთა 60,1 % გრძნობს შშმ ადამიანების სტიგმატიზაციას საზოგადოებაში; 39,4 % კი მიუთითებს, რომ მათ გარიყულობას ვერ გრძნობს
- კვლევაში მონაწილეთა 84,5 % აზრით საზოგადოებამ / სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ ჩართულობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ; 20,5 % მიუთითებს ფინანსური დახმარების საჭიროებას ; 2,3 % თვლის, რომ აუცილებელი არაა მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება
- რესპოდენტთა 22,3 % იცნობს დასაქმებულ შშმ ადამიანებს; არ იცნობს დასაქმებულ შშმ პირებს 75,8 % ; პასუხი არ დააფიქსირა 1,9 %-მა
- 29,54 % თვლის, რომ შშმ პირებისათვის განათლების მიღება ხელმისაწვდომია ; 10,9 % ფიქრობს, რომ ხელმისაწვდომი არ არის ; 57,57 % -ის აზრით შშმ პირებისათვის განათლება სრულფასოვანი არ არის; პასუხს არ აფიქსირებს 1,89 %
- რესპოდენტთა 67,42 % ადასტურებს სკოლაში / უნივერსიტეტში შშმ პირების სწავლის ფაქტს; 8,3 % უარყოფს მას; არ იცის 22,72 %-მა; პასუხი არ დააფიქსირა 1,51 %
- კვლევაში მონაწილეთა 31,06 % ამბობს, რომ სკოლაში / ინსტიტუტში არ არის შშმ მოსწავლეებზე ადაპტირებული სასწავლო პროცესი; 54,9 %-ის აზრით სასწავლო პროცესს აქვს ხარვეზები; სასწავლო პროცესის ადაპტირებულობას მიუთითებს 11,36 %, პასუხი არ დააფიქსირა 2,65 %-მა

კვლევასთან დაკავშირებული ერთ-ერთი აქტივობა იყო ინტერვიუს აღება შშმ მოსწავლეებთან დაკავშირებით.

ინტერვიუ ჩავატარეთ სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების დანერგვის კოორდინატორთან, ელისო მაწკეპლამესთან. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად განათლების სამინისტროს ძალისხმევისა ამ მიმართებით(მასწავლებელთა დატრენინგება, პროექტების დაფინანსება და სხვ.) და საკმაო გამოცდილების დაგროვებისა, მთელ რიგ სკოლებში არ

არის ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა. მასწავლებლები ითხოვენ შესაბამის ლიტერატურას, გადამზადებას, რესურსებს... მთავარია, რესურსები, მასწავლებელთა კვალიფიცირება და შშმ მოსწავლეთა სწავლების სურვილი. მყავს კოლეგები, რომლებიც აქტიურობენ, მაგრამ მყავს კოლეგები, რომლებიც პასიურობენ... სამწუხაროდ, პასიურთა რიცხვი უფრო მეტია!

კვლევის შედეგების ანალიზი

კვლევისთვის სპეციალურად შეირჩა საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი. როგორც პროექტზე მუშაობის დროს გამოიკვეთა და ეს აისახა კვლევის სტატისტიკაშიც, აშკარად ჩანს შშმ ადამიანების ინტეგრაციის პრობლემა საზოგადოებაში. მათ სტიგმატიზაციას გრძნობს რესპოდენტთან დიდი უმრავლესობა. იკვეთება შშმ პირთა დასაქმების, მათზე ადაპტირებული სასწავლო პროცესის პრობლემები. მეტი მოთხოვნაა საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ, რომ იზრუნონ შშმ ადამიანების ჩართულობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რეკომენდაციები

- აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ მეტი ქმედითი ღონისძიებების განხორციელება.
- საჭიროა საჯარო სკოლებში მეტი პედაგოგის გადამზადება ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტრატეგიების გათვალისწინებით და სასწავლო პროცესის ადაპტირების პრობლემების აღმოფხვრა.
- საინფორმაციო საშუალებებში ხშირად უნდა შექდებოდეს შშმ პიროვნებებისათვის მნიშვნელოვან საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებული ინფორმაციები.
- მნიშვნელოვანია შშმ ადამიანების მიმართ საზოგადოების დაინტერესების ზრდა არასამთავრობო სექტორის და სხვა სოციალური ინსტიტუტების მხარდაჭერით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვისწავლოთ ერთად; ინკლუზიური განათლება; თბილისი 2008 წელი
2. როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე და სასწავლო პროექტებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენინგის მასალები სქემაში ჩართული მასწავლებლებისათვის. თბილისი, 2012 წელი